1955

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И РАСПОРЯЖЕНИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

6

ივნისი

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა

თბილისი—1955

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1032

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 30 მაისი

1955-56 სასწავლო წლისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მზადების შ ე ს ა ხ ე ბ

F1821

1955/56 სასწავლო წლისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მომზადების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სასკოლო მშენებლობა. 1955 წ. 1 კვარტალის გეგმით მშენებლობისათვის გათვალისწინებული 2.783.000 მანეთიდან ათვისებულია 1.004.000 მანეთი. შეჩერებული იყო სკოლების შენობათა მშენებლობა ადიგენის რ. სოფ. ყარათუბანში, ჩორჩანში, ქიქინეთსა და ჭეჭლაში; ასპინძის რ. სოფ. აწყვიტაში; სოფ. პატარა ცემში სკოლა—სანატორიუმისა, ხოლო ახალციხის რ. სოფ. ანდრიაწმინდაში ინტერნატისა და სხვ.

სახელმძღვანელოების გამოცემის საქმეში ადგილი აქვს ჩამორჩენას. 15/V მდგომარეობით გამოცემული და გადაცემულია სავაჭრო ქსელში 51 სახელწოდების სახელმძღვანელო 1.267.078 ტირაჟით (გეგმა 58 სახელწოდების სახელმძღვანელო 1.623.000 ტირაჟით).

ახალქალაქის, ახმეტის, ამბროლაურის, მარნეულის, ჩოხატაურისა და სხვ. სკოლის ასაკის მოზარდთა საგრძნობი რაოდენობა დარჩენილია სკოლის გარეთ.

რესპუბლიკის სკოლების საგრძნობი ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთებით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და ონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დააზუსტონ I კლასში მისაღები შვიდწლიანი ბავშვებისა და უფროსი ასაკის (სკოლის გარეშე დარჩენილი) მოზარდების აღრიცხვა; ა/წლის 1 სექტემბრისათვის უზრუნველყონ ამ ბავშვებისა და მოზარდების სკოლებში ჩარიცხვა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შესრულება;

ბ) გულდასმით შეისწავლონ 1955/56 სასწავლო წლისათვის სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული სკოლების ქსელის, კლასების რაოდენობისა და მოსწავლეთა კონტინგენტის მაჩვენებლები; დასახონ და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ამ გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად. გეგმით გათვალისწინებული ახალი სკოლის გახსნა, დაწყებითი სკოლის რეორგანიზაცია რვაწლიან სკოლად და 8 წლიანი სკოლისა—საშუალო სკოლად ჩაატარონ მთავრობის სათანადო დადგენილების შესაბამისად; გეგმით გათვალისწინებული არსებული კლასის დატოვება ან ახალის გახსნა მხოლოდ იმ შემთხვევაში განახორციელონ, თუ რაიონისათვის დამტკიცებული კლასის დატვირთვის ნორმა იქნება დაცული;

გ) მიიღონ გადამჭრელი ზომები გეგმით გათვალისწინებული ყველა ინტერნატის აუცილებლად გახსნის, რბილი და მაგარი ინვენტარით მათი მოწყობის უზრუნველსაყოფად;

დ) შეადგინონ სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების შენობის კაპიტალური და მიმდინარე რემონტის გეგმა ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში; აგრეთვე ამ სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა იმ ანგარიშით, რომ ყველა სამუშაო დამთავრდეს ა/წლის 15 აგვისტომდე;

ე) სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების დირექტორების (გამგეების) მეშვეობით შეამოწმონ და გამოარკვიონ მერხების, მაგიდების, სკამების, საკლასო დაფების, კარადების და ინვენტარის მდგომარეობა, შეადგინონ მათი შეკეთების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგმა და მიიღონ საჭირო ზომები იმისათვის, რათა ეს სამუშაოები მთლიანად, ხარისხობრივი მაჩვენებლებით იქნეს დამთავრებული ა/წლის 15 აგვისტომდე;

ვ) განათლების სამინისტროს მითითების შესაბამისად დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ იმ ორგანიზაციებს, რომელნიც სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებებისათვის ამზადებენ დგამ-ავეჯს, დადონ მათთან სათანადო ხელშეკრულება და მიაღწიონ იმას, რომ გეგმით გათვალისწინებული ავეჯი დროულად იქნეს დამზადებული და ადგილზე გადატანილი;

ე) უზრუნველჰყონ სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების შენობების, აგრეთვე დგამ ავეჯის შეკეთებისათვის გამოყოფილი სამშენებლო მასალების დროულად მიღება და ადგილზე გადატანა; ამასთან ერთად მიიღონ ზომები იმისათვის, რომ ფართოდ იქნეს გამოყენებული ადგილობრივი სამშენებლო მასალები და საშეფო ორგანიზაციების დახმარება ამ საქმეში;

ზ) სკოლის დირექტორებისა და მასწავლებლების მეშვეობით გულდასმით შეამოწმონ სასწავლო კაბინეტების (ფიზიკის, ქიმიის ბიოლოგიისა და სხვ.) მდგომარეობა მათი სრულ წესრიგში მოყვანის მიზნით; შეადგინონ კაბინეტების ხელსაწყოების შეკეთებისა და შევსების გეგმა და უზრუნველჰყონ მისი შესრულება;

თ) მიიღონ საჭირო ზომები, რათა მომავალი ზამთრის გათბობის სეზონში სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებებისათვის საჭირო რაოდენობის სათბობი (შეშა, ნახშირი, მაზუთი) 50% მიზიდულ იქნას სკოლაში 15 აგვისტომდე, ხოლო დანარჩენი 15 ნოემბრამდე;

ი) პედაგოგიური კოლექტივისა და მოსწავლეთა მეშვეობით სრულ წესრიგში მოიყვანონ სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების ეზოები, მწვანე ნარგავები, სასწავლო — საცდელი მიწის ნაკვეთები და უზრუნველყონ მათი სანიმუშოდ მოვლა;

კ) ყოველდღიური კონტროლი დააწესონ მოსწავლეთათვის საჭირო სახელმძღვანელოების, რვეულებისა და სხვა სასწავლო ნივთების შემოზიდვაზე, „საქწიგნისა“ და „ცეკავშირის“ საარაიონო ბაზების მიერ სკოლამდე მათ დროულად დაყვანის

მიზნით, და ყოველ საჭირო შემთხვევაში ზომების მისაღებად საკითხი დააყენონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახმარება გაუწიონ „საქწიგნისა" და „ცეკავშირის" ადგილობრივ მალაზიებს ნახმარი სახელმძღვანელოების შეძენის საქმეში;

ლ) დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის რაიკომის მონაწილეობით გულდასმით გადასინჯონ სკოლებისა და საბავშო დაწესებულებების პედაგოგიური კადრების შემადგენლობა; შეადგინონ დამატებით საჭირო კადრების მოთხოვნა მასწავლებელთა ნორმალური დატვირთვის გათვალისწინებით და მასალები წარუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს (შესაბამის ასსრ სამინისტროს, ავტონომიური ოლქის — განათლების განყოფილებას) თითოეული რაიონისათვის (ქალაქისათვის) დადგენილ ვადაზე. ახალი სასწავლო წლისათვის მასწავლებელთა შორის გაკვეთილებისა და სხვა სამუშაოების განაწილება დაამთავრონ მასწავლებლების შვებულებაში წასვლამდე; გაკვეთილების განაწილების დროს არ დაუშვან საათების დაქუცმაცების შემთხვევები, ახლად დანიშნულ მასწავლებლებს სასწავლო წლის დაწყების წინ მოუწყონ გულთბილი შეხვედრა და გაუწიონ მათ საჭირო დახმარება;

მ) სოფლის სკოლების ჩამოსულ მასწავლებელთათვის საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები;

ნ) საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეთათვის მოაწესრიგონ დახმარების საქმე სამეცადინო ოთახების გამოყოფით, სახელმძღვანელოებისა და სასკოლო წიგნების გაცემით, მასწავლებელთა კონსულტაციის მოწყობით; საშემოდგომო გამოცდები ჩაატარონ ინსტრუქციის შესაბამისად;

ო) სამინისტროს მითითების თანახმად შეადგინონ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების გეგმა და მისი ასლი წარმოადგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში;

პ) დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფესიული კავშირის ადგილობრივი ორგანოების მონაწილეობით ყოველდღიური სისტემატური კონტროლი გაუწიონ ახალი სას-

წავლო წლისათვის მზადების გეგმის ვადაზე და კარგი ხარისხობრივი მაჩვენებლებით შესრულებას და ანგარიში მზადების მიმდინარეობის შესახებ წარმოადგინონ განათლების სამინისტროში ა/წლის 5 ივლისსა და 5 აგვისტოს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ) მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს (ქალაქის საბჭოს) აღმასკომის მიერ გამოყოფილი კომისიის მეშვეობით დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ადგილობრივი ორგანოების მონაწილეობით უზრუნველყონ ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მზადყოფნის შემოწმება და ანგარიში წარმოადგინონ განათლების სამინისტროში არა უგვიანეს ა/წლის 1 სექტემბრისა.

2. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის, ა/ოლქის, ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, წალკის, გურჯაანის, ყვარლის, საგარეჯოს, გარდაბანის, მცხეთის, კასპის, ქარელის, ხაშურის, ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, წყალტუბოს, წულუკიძის, ცხაკაიას და მახარაძის რ. განათლების განყოფილებათა გამგეებს ყოველდღიური კონტროლი და დახმარება გაუწიონ სკოლებისა და სხვა ობიექტების შენობების მშენებელ ორგანიზაციებს, საჭირო შემთხვევაში დააყენონ საკითხი ადგილობრივი ორგანოებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინაშე და მიაღწიონ იმას, რომ შენობების მშენებლობის გეგმა შესრულდეს ვადაზე და კარგი ხარისხობრივი მაჩვენებლებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ობიექტების მშენებლობას, რომელთა დამთავრება და ექსპლოატაციაში გადაცემა გათვალისწინებულია მიმდინარე წლის გეგმით.

3. დაევალოს სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებას (უფროსი ამხ. დ. ჯავახია) დაწესებულ ვადაზე გადასცეს გამომცემლობას დამზადებული სახელმძღვანელოები და ყოველდღიური კონტროლი დააწესოს სახელმძღვანელო წიგნებისა და პროგრამების ბეჭდვის საქმეზე.

4. დაევალოს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებას (უფროსი ამხ. არველაძე):

ა) ყოველდღიური კონტროლი დააწესოს მოსწავლეთათვის დადგენილი დახაზულობის რვეულების დამზადების მიმდინა-

რეობაზე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განაწილების მიხედვით რაიონებსა და ქალაქებში სახელმძღვანელოების, რვეულების, აგრეთვე საჭირო რაოდენობით ფანქრების, კალმისტრების, კალმების, მელნის, ცარცისა და სხვა სასწავლო ნივთების შეზიდვაზე;

ბ) მიიღოს საჭირო ზომები იმისათვის, რომ სასკოლო დგამ-ავეჯის დამზადების შესახებ დამამზადებელ ორგანიზაციებთან დროულად იქნეს გაფორმებული ხელშეკრულებები; გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოფილ იქნეს თანხების გადარიცხვა განათლების განყოფილების მიერ და დამზადებული დგამ-ავეჯის მიტანა დანიშნულების ადგილზე;

გ) გააუმჯობესოს საბაზო მაღაზიების მუშაობა და უზრუნველყოს სკოლების სასწავლო კაბინეტების (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და სხვ.). შევსება ხელსაწყო-იარაღებით, გათვალისწინებული თანხების ფარგლებში.

5. დაევალოს სკოლების სამმართველოს (უფროსი გ. საყვარელიძე) უზრუნველყოს საკლასო ჟურნალებისა და ყველა სახის საკლასო დოკუმენტაციის ფორმების გადაცემა წარმოებისათვის, დამზადებული პროდუქციის განაწილება და ადგილზე დაყვანა.

6. დაევალოს სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს:

ა) სათანადო ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიოს ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს სკოლების ქსელის, კლასების რაოდენობისა და მოსწავლეთა კონტინგენტის დამტკიცებული გეგმის შესრულების საქმეში;

ბ) ა/წლის 10 ივნისამდე შეისწავლოს 1955—56 სასწავლო წლის გეგმით გათვალისწინებული ახლად გახსნილი საშუალო სკოლების მატერიალური ბაზა და დასკვნები წარმოადგინოს სამინისტროს კოლეგიაზე განსახილველად;

გ) მიიღოს საჭირო ზომები, რათა ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით ყველა ღონისძიება ნორმალურად იქნეს დაფინანსებული ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში.

7. დაევალოს სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას (უფროსი ა. ღადუა):

ა) მიიღოს საჭირო ზომები იმისათვის, რომ „ქალაქმშენ სახპროექტმა“ და „თბილქალაქპროექტმა“ შეუფერხებლად მიაწოდონ მშენებელ ორგანიზაციებს სამუშაო ნახაზები;

ბ) სისტემატური კონტროლი გაუწიოს სკოლებისა და სხვა ობიექტების შენობების მშენებლობის მიმდინარეობას, შესრულებული სამუშაოების ხარისხს, გამოყოფილი სამშენებლო მასალების დროზე და სრულად მიღების საქმეს, გამოავლინოს გეგმების შესრულების საქმეში ჩამორჩენილობისა და სამუშაოების დაბალი ხარისხით შესრულების შემთხვევები და მიიღოს საჭირო ზომები;

გ) ხუთი დღის ვადაში დაამთავროს ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების შენობათა კაპიტალური რემონტის ხარჯთაღრიცხვის შედგენა და დამტკიცება; კონტროლი გაუწიოს სარემონტო სამუშაოების შესრულებას.

8. დაევალოს სამინისტროს კადრების განყოფილებას (უფროსი ამხ. ი. კვაჭაძე):

ა) ა/წლის 15 ივნისამდე დაამთავროს რესპუბლიკის სკოლებში მომუშავე მასწავლებელთა შემადგენლობის გადასინჯვა (დანიშვნა, გადაყვანა, განთავისუფლება, მოხსნა);

ბ) ა/წლის 25 ივნისამდე დაამთავროს მიმდინარე წელს უმაღლესი და საშუალო პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდა მასწავლებელთა დანიშვნა პედაგოგიურ სამუშაოზე და ყველა სკოლის დაკომპლექტება პედაგოგიური კადრებით;

გ) კონტროლი გაუწიოს ახალგაზრდა მასწავლებლების ადგილზე გამოცხადებას და დანიშნულებისამებრ გამოყენების საქმეს;

დ) სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსების მოწყობის საქმეში.

9. დაევალოს სამინისტროს სკოლებისა და საგეგმო-საფინანსო სამმართველოებს, კაპიტალური მშენებლობის, კადრების, საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და საბავშვო და-

წესებულებების, მომარაგებისა და დამხმარე წარმოებების განყოფილებების უფროსებს სისტემატური კონტროლი გაუწიონ 1955-56 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მზადების მიმდინარეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციას სისტემატურად გააშუქოს ახალი სასწავლო წლისათვის ცალკეული სკოლების, საბავშვო დაწესებულებებისა და რაიონების მზადების მიმდინარეობა.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1034

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 31 მაისი

ლაგოდეხის რაიონის განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ.

აღვნიშნავ, რომ ლაგოდეხის განათლების განყოფილებასა და სკოლებს გასულ წელთან შედარებით ერთგვარი წარმატება აქვთ მოპოვებული სწავლა-აღზრდის საქმეში.

მიმდინარე წელს სასწავლო კაბინეტები შეივსო 95,000 მანეთის სასწავლო იარაღებით, რეაქტივებითა და დამხმარე მასალებით, მოწესრიგებულია სასწავლო კაბინეტების ქონების აღრიცხვა, სკოლები ძირითადად უზრუნველყოფილია სასწავლო-საცდელი ნაკვეთებით.

პოლიტექნიკური სწავლების გაუმჯობესების მიზნით რაიონის ზოგიერთმა სკოლამ მჭიდრო კავშირი დაამყარა წარმოება-დაწესებულებებთან.

სათანადო მუშაობა მიმდინარეობს დამწყებ მასწავლებლებთან. დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულია 105 მასწავლებელი.

რაიონის სკოლის მოსწავლეები ძირითადად უზრუნველყოფილნი არიან სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით. მასწავლებელთა დიდი ნაწილი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას.

მიუხედავად აღნიშნულისა, რაიონის სკოლებისა და განათლების განყოფილების მუშაობა ხასიათდება სერიოზული ნაკლოვანებებით.

ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს სახალხო განათლების საბჭო, სამუშაო გეგმაში შეტანილი არ არის უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონირების, მეურვეობისა და შვილად აყვანის სა-

კითხები. არ სწარმოებს პატრონირებულ ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა, მოწესრიგებული არ არის მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა აღრიცხვისა და მოწყობის საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება ქმედით დახმარებასა და კონტროლს ვერ უწევს საბავშვო ბაღს, რის გამო ბაღის მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ დარღვევებს.

არ არის დაცული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსტრუქცია, კადრების დანიშვნის, გადაყვანისა და განთავისუფლების შესახებ. ლელიანის, ყარსუბნის საშუალო, აფენისა და შრომის რვაწლიან სკოლებში მოუწესრიგებელია მოსწავლეთა პირადი საქმეები.

არის შემთხვევები სამინისტროს ბრძანების გარეშე სამუშაოზე მასწავლებელთა მიღების და განთავისუფლებისა.

ზოგ შემთხვევაში სატარიფიკაციო სიები არ შეესაბამება მასწავლებელთა პირად საქმეში არსებულ დოკუმენტებს. რაიონის ყველა მასწავლებელს არ აქვს შრომის წიგნაკი.

განათლების განყოფილება რაიონის სკოლების მუშაობაზე ვერ ახორციელებს საკმარის ხელმძღვანელობასა და კონტროლს. მიმდინარე სასწავლო წელს 51 სკოლიდან შესწავლილია მხოლოდ 22 სკოლის მუშაობა.

მეტად სუსტად მუშაობს პედაგოგიური კაბინეტი (გამგე ქ. პ. კობიაშვილი). პედაგოგიურ კაბინეტთან არსებული სექციები სრულ უმოქმედობას იჩენენ. გაუწმენდელია კაბინეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, საჭირო დახმარება არ ეწევა დამწყებ მასწავლებლებს, არ ხდება მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადოება, არ ტარდება ქმედითი ღონისძიებები პოლიტექნიკური სწავლების გასაუმჯობესებლად.

ჯერ კიდევ აქვს ადგილი სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვას. ასე, მაგალითად, ვარდისუბნის საშუალო სკოლიდან გასულია 16 (დირ. ი. გობეჯიშვილი), ხოლო ბაისუბნის საშუალო სკოლიდან 10 მოსწ. (დირექტ. შ. ტყემალაძე). შესწავლილი 11 სკოლიდან უმიზეზოდ არის გასული 62 მოსწავლე.

ზოგ შემთხვევაში კლასის ხელმძღვანელები და დირექტორები ჯეროვან დახმარებას არ უწევენ კომკავშირულ და პიო-

ნერულ ორგანიზაციებს (ყარსუბნის საშუალო და ცოდნის რვაწლიანი სკოლები).

ზოგიერთი დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე ცუდად ახორციელებს შინასასკოლო კონტროლსა და ხელმძღვანელობას მასწავლებელთა მუშაობაზე. ვარდისუბნის საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. ი. გობეჯიშვილს რვა თვის განმავლობაში მოსმენილი აქვს მხოლოდ 18 გაკვეთილი, ამდენივე გაკვეთილი აქვს მოსმენილი სასწ. ნაწ. გამგე ამხ. ვ. ნოზაძეს, ყარსუბნის საშუალო სკოლის დირექტორს ვ. ლობჟანიძეს მოსმენილი აქვს რვა გაკვეთილი, ხოლო შრომის რვაწლიანი სკოლის დირექტორს-48 გაკვეთილი.

სკოლების ერთ ნაწილში სრულიად არ მუშაობს მშობელთა კომიტეტები (ცოდნისკარისა და ორჯონიკიძის რვაწლიანი სკოლები), ზოგან კი ისინი მეტად სუსტად მუშაობენ (ბაისუბნის საშუალო და შრომის რვაწლიანი სკოლები).

ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი და მასწავლებელი საფუძვლიანად არ იცნობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულ დადგენილებას და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებას იანვრის პლენუმის დადგენილებათა შესაბამისად სკოლებში მუშაობის გაშლის შესახებ.

შემოწმებულ არცერთ სკოლაში გამოყოფილი არ არის კაბინეტისათვის ცალკე ოთახი, არ აქვთ საკმაო რაოდენობით ხელსაწყო-იარაღები და ინვენტარი (ბაისუბნის — დირექტორი შ. ტყემალაძე, ვარდისუბნის — დირექტორი ი. გობეჯიშვილი, საშუალო, შრომის — დირექტორი ალ. იმერლიშვილი, ცოდნისკარის — დირექტ. ვ. ლომიძე — რვაწლიანი სკოლები).

ფოლანის, ქალქვის, ნაენდროვანის დაწყებით სკოლებს სასწავლო საცდელი ნაკვეთები სრულიად არა აქვთ, ხოლო შრომის რვაწლიანი სკოლის სასწავლო-საცდელი ნაკვეთი მოუვლელი და სწავლების პროცესში გამოუყენებელია.

სკოლები უზრუნველყოფილი არ არიან ნაკვეთზე მუშაობისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით.

სკოლებს არ აქვთ შესწავლილი სასწავლო ექსკურსიების ჩატარებისათვის საჭირო ობიექტები, ექსკურსიები ტარდება წინასწარ სათანადო მომზადების გარეშე.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქართული ენა და ლიტერატურა ლაგოდეხის რაიონის შრომის რვაწლიანი (მასწ. ბ. ს. ბარაგაძე, თ. ვ. ბლიაძე), ვარდისუბნის (მასწ. ლ. ... ლანია), ყარსუბნის საშუალო (მასწ. გ. ი. ტაბატაძე, ნ. ვ. ლურსმანიშვილი) სკოლებში. მასწავლებლები ყურადღებას არ აქცევენ ცალკეული ნაწარმოების შინაარსის შეგნებულად შესწავლის საქმეს, არ ამახვილებენ ყურადღებას ნაწარმოების იდეურ მხარეზე, მხატვრულ ლიტერატურას ვერ იყენებენ მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბალია მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა ყარსუბნის, ვარდისუბნის, ლაგოდეხის ქართულ საშუალო და შრომის რვაწლიან სკოლებში.

არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება ფიზიკის სწავლება. პროგრამული მასალის დამუშავებისას არ ტარდება სადემონსტრაციო ცდები, ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოები.

ამოცანების ამოხსნისას მასწავლებლები ნაკლებად მიმართავენ გრაფიკებისა და სქემების შედგენას. მოსწავლეთა ერთ ნაწილში არ არის გამომუშავებული პრაქტიკული ცოდნა-ჩვევები. ცოდნისკარის რვაწლიანი სკოლის VII კლასის მოსწავლეები (მასწ. დ. კალანდაძე) ვერ ერკვევიან ფართობისა და მოცულობის გაზომვაში, ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებენ მუშაობასა და სიმძლავრეს, ვერ ხსნიან უმარტივეს ამოცანებსაც კი. შესწავლილი მასალის ზერელე ცოდნა გამოამჟღავნეს ბაისუბნის (მასწ. გ. ლობჟანიძე), აფენის (მასწ. ი. გონდაუერი) საშუალო და ცოდნის (მასწ. ვ. ი. ლობჟანიძე) რვაწლიანი სკოლების მოსწავლეებმა.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ქიმიის სწავლება ვარდისუბნის საშუალო (მასწ. თ. ლომიძე), შრომის (მასწ. ნ. კიკილაშვილი) და ცოდნის რვაწლიან სკოლებში. მასწავლებლები საპროგრამო მასალის სწავლებისას არ იყენებენ თვალსაჩინოებას, სათანადო ყურადღებას არ აქცევენ პრაქტიკულ ლაბორატორიულ მუშაობას, ამოცანებზე ვარჯიშს, არ ზრუნავენ მოსწავლეებში პრაქტიკული ცოდნა-ჩვევების დანერგვისათვის, არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, რის შედეგად დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე. ვარდისუბნის საშუალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა სუსტად იციან ვალენტოვნება, პერიოდული სისტემის ძირითადი საკითხები, იონთა წარმოქმნის პირობები, ელექტროლიზის პროცესი და სხვ.

რაიონის რიგ სკოლებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას ბიოლოგიის სწავლება. მასწავლებელთა ერთი ნაწილი მოუმზადებლად ატარებს გაკვეთილებს, ნაკლებად იყენებს თვალსაჩინოებას, არ ატარებს საჭირო ცდებს და დაკვირვებებს სასწავლო—საცდელ ნაკვეთზე და ცოცხალ ბუნების კუთხეში.

ზოგან ფიზიკას, ქიმიას და ბიოლოგიას ამ საგნის არასპეციალისტები ასწავლიან, ცოდნის რვაწლიან სკოლაში ქიმიას მათემატიკოსი ს. ყაჯიშვილი ასწავლის, ბიოლოგიას—გეოგრაფი ალ. ფოფხაძე. მიწის ნაკვეთზე პრაქტიკულ მუშაობას—ფიზკულტურის მასწავლებელი არ. ჯანიევი ატარებს.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება არითმეტიკა საქობოს დაწყებითი სკოლის III კლასში. მოსწავლეებმა არ იციან ფრჩხილებიანი მაგალითების ამოხსნა. სუსტად მუშაობს სკოლის გამგე კოჭლამაზაშვილი, მოუვლელია საცდელი მიწის ნაკვეთი და მოუწესრიგებელია მოსწავლეთა პირადი საქმეები.

ჭაბუკიანის დაწყებითი სკოლის IV კლასის მოსწავლეებმა (მასწ. უ. გავაშელაშვილი) სუსტად იციან სიგრძისა და ზომის ერთეულები, ვერ არკვევენ მართკუთხის გვერდების მიხედვით ტოლობის სიდიდეს.

სკოლაში ცუდად დგას ხელგარჯილობის სწავლება. 14 აპრილისათვის I კლასში ამ საგანში მხოლოდ ორი გაკვეთილი იყო ჩატარებული, ხოლო II კლასში, სადაც თვით გამგე ამხ. უ. მერმანიშვილი ასწავლის — ერთი გაკვეთილი.

სუსტად ისწავლება გეოგრაფია ცოდნის რვაწლიანი სკოლის IV კლ. (მასწავლებელი მ. ჩუტლაშვილი), მოსწავლეებმა არ იციან რუკის პირობითი ნიშნების გამოცნობა, არ აქვთ რუკაზე ორიენტირების ჩვევები და სხვ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განათლების განყოფილებამ:

ა) გააძლიეროს სკოლებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, შემოწმების შედეგები განიხილოს სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე და მოახდინოს მისი განზოგადება;

ბ) შემოწმების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს, თუ როგორ ასრულებენ სკოლები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე საბჭოთა სკოლის წინაშე დასმულ ამოცანებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ახალი სასწავლო წლისათვის უზრუნველჰყოს ყველა სკოლა სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთით, სასწავლო კაბინეტებით და პრაქტიკულ ლაბორატორიულ სამუშაოთა ჩატარებისათვის საჭირო იარაღ-ხელსაწყოებით;

დ) პოლიტექნიკური სწავლების გაუმჯობესების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებელთა დახელოვნებას. გულდასმით შეისწავლოს პოლიტექნიკური სწავლების საქმეში მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილება და ფართოდ განაზოგადოს იგი;

ე) მასწავლებელთა პირადი საქმეები მოაწესრიგოს მიმდინარე წლის 25 მაისამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სათანადო ინსტრუქციის შესაბამისად;

ვ) ახალი სასწავლო წლისათვის კადრების გადასინჯვის დროს მტკიცედ იხელმძღვანელოს განათლების სამინისტროს 1953 წლის № 9301 ბრძანებით;

ზ) რაიონის სკოლების მასწავლებელთა საექიმო შემოწმება დაამთავროს 1956 წ. პირველ იანვრამდე;

თ) მოაწესრიგოს უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა აღრიცხვიანობის საქმე საქართველოს სსრ განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და იუსტიციის სამინისტროების მიერ დაშვებული ინსტრუქციის შესაბამისად;

ი) კვარტალურ სამუშაო გეგმაში გაითვალისწინოს პატრონატზე მყოფ ბავშვების საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა. პატრონირებულ ბავშვებზე დახმარების გაცემა აწარმოოს ყოველთვიურად;

კ) პერიოდულად შეამოწმოს საბავშვო ბაღის პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა, დასახოს და განახორციელოს ბაღის მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭირო კონკრეტული ღონისძიებანი.

2. სკოლის დირექტორმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) დააზუსტონ სკოლის გარეშე დარჩენილ 7—15 წლის ასაკის ბავშვთა რაოდენობა და უზრუნველყონ ახალი სასწავლო წლისათვის სწავლებაში მათი ჩაბმა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სისტემატურად დაესწრონ გაკვეთილებზე მასწავლებლებს, მისცენ მათ კონკრეტული მითითებანი შემჩნეული დეფექტების გამოსასწორებლად და აწარმოონ მიცემულ მითითებათა შესრულების შემოწმება;

გ) სასკოლო მიწის ნაკვეთი გამოიყენონ სასწავლო მიზნით. დაავალონ ბუნებისმეტყველების და ქიმიის მასწავლებლებს შეადგინონ სკოლის ნაკვეთზე მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობის გეგმა და გაუწიონ კონტროლი მის შესრულებას;

დ) უზრუნველჰყონ სკოლაში პოლიტექნიკური სწავლებისათვის საჭირო მატერიალური ბაზის შექმნა;

ე) გააძლიერონ კავშირი საშეფო ორგანიზაციებთან;

ვ) უმოკლეს დროში მოაწყონ სასწავლო სახელოსნოები და ბუნების ცოცხალი კუთხეები;

ზ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ცალკე სასწავლო დისციპლინებში პროგრამით გათვალისწინებული მასალის გავლას და მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებას;

თ) გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და კულტურულ-ჰიგიენური ჩვევების დანერგვისათვის.

ი) სრულ წესრიგზე მოიყვანონ მოსწავლეთა პირადი საქმეები.

3. მასწავლებლებმა: ა) საგნის სწავლება მჭიდროდ დაუკავშირონ მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ამოცანებს. გულმოდგინედ იმუშაონ საკუთარი იდეურ-პოლიტიკური მომზადებისა და პედაგოგიური კვალიფიკაციის დონის ასამაღლებლად.

ბ) ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლებმა სისტემატურად გამოიყენონ ექსპერიმენტი, დანერგონ მოსწავლეებში პრაქტიკული ცოდნა-ჩვევები. დაუკავშირონ თეორიული სწავლება პრაქტიკას და უზრუნველჰყონ მოსწავლეთა მომზადება პრაქტიკული მუშაობისათვის.

4. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაბალ დონეზე დაყენებისა და საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებისა-

თვის გამოეცხადოს საყვედური საქობოს დაწყებითი სკოლის გამგეს—მასწავლებელს შ. ქ. კოჭლამაზაშვილს.

5. არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის მიეთითოთ დაგოგიური კაბინეტის გამგეს ქ. პ. კობიაშვილს.

6. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სუსტი ხელმძღვანელობისათვის მიეთითოთ: ვარდისუბნის საშუალო სკოლის დირექტორს ი. გობეჯიშვილს, ყარსუბნის საშუალო სკოლის დირექტორს ვ. ლობჟანიძეს.

7. სასწავლო საცდელი მიწის ნაკვეთის მოუვლელობისათვის მიეთითოს შრომის რვაწლიანი სკოლის დირექტორს ა. ი. იმერლიშვილს.

8. განათლების განყოფილებამ ახალ 1955—56 სასწავლო წლისათვის წარმოადგინოს პროექტი მასწავლებლების: ა. ფოფხაძის, ჯანიევის (ცოდნის რვაწლიანი სკოლა), ს. ვ. მახათაძის (ორჯონიკიძის რვაწლიანი სკოლა), სპეციალობის მიხედვით გამოყენების შესახებ.

9. საგნის სწავლების არასათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის მიეთითოთ: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს — ბ. ს. ბარძგაძეს, თ. ვ. ბლიაძეს (შრომის რვაწლიანი სკოლა) ლ. ბ. მალანიას (ვარდისუბნის საშუალო სკოლა); ფიზიკის მასწავლებლებს — დ. პ. კალანდაძეს (ცოდნის კარის რვაწლიანი სკოლა), ი. ზ. გონდაურს (აფენის საშუალო სკოლა); ბიოლოგიის მასწავლებლებს—ნ. ვ. კიკილაშვილს (შრომის რვაწლიანი სკოლა) ა. ბ. გოზალიშვილს (ბაისუბნის საშუალო სკოლა), ქიმიის მასწავლებელს — თ. ლომიძეს (ვარდისუბნის საშუალო სკოლა) VI კლასის გეოგრაფიის მასწავლებელს მ. ჩუტლაშვილს და I-I—III კლასების მასწავლებელს ქ. ცუცქირიძეს (ცოდნის რვაწლიანი სკოლა); ხელგარჯილობის მასწავლებელს —ჟ. მერმანიშვილს (ჭაბუკიანის დაწყებითი სკოლა).

10. რაიონის სკოლების მუშაობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის მიეთითოს განათლების განყოფილების გამგეს გ. ა. წიქარიშვილს.

11. სკოლების სამმართველომ თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 6 მაისის დადგენილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის

მოადგილე **მ. ბურჯულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1041

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წ. 3 ივნისი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ზოგიერთ დაწესებულებაში საარქივო ფონდის მოვლა-შენახვის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ განათლების სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ ზოგიერთ დაწესებულებაში საარქივო ფონდის მოვლა-დაცვის საქმე არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება.

პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საარქივო მასალები მოუწესრიგებელია, ამასთან არ არის უზრუნველყოფილი ამ მასალების წესიერად დაცვა და მოვლა. საგრძნობი ნაკლოვანებებია აგრეთვე ამ ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების არქივში, სადაც საქმეები 1944 წლიდან მოუვლელია.

პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მასალების დასაცავად არ არის გამოყოფილი სპეციალური არქივსაცავი, ამასთანავე მასალები 1949 წლიდან მოუწესრიგებელია.

არ არის წესრიგში აგრეთვე ი. გოგებაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებლის მასალები, ასეთივე მდგომარეობაა დიდაქტიკური ხელსაწყოების წარმოებისა და საბავშვო და ახალგაზრდობის გამომცემლობის არქივებში.

საარქივო ფონდის დაცვა-მოვლის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით ვბრძანებ:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილებას, რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებებს და განათლების სამინისტროს სისტემის ყველა დაწესებულების ხელმძღვანელს:

ა) ერთი თვის ვადაში სრული წესრიგი დაამყარონ საარქივო ფონდის მოვლა-დაცვის საქმეში;

ბ) უზრუნველყონ საარქივო მასალების შენახვა-დაცვა შესაფერის ბინებში;

გ) არქივიდან სისტემატურად გამოყონ მაკულატურაში ვადაგადასული, პრაქტიკულ და სამეცნიერო-ისტორიულ მნიშვნელობას მოკლებული მასალები, რომელთა მოსპობა აწარმოონ მხოლოდ საარქივო ორგანოებთან შეთანხმებით და მათი წერილობითი დასკვნით;

დ) შეამოწმონ საარქივო მასალების მოვლა-დაცვის მდგომარეობა ქვემდებარე დაწესებულებებში და მიიღონ გადამჭრელი ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

2. განათლების სამინისტროს არქივის გამგემ ამხ. ე. ბახტაძემ ა/წლის 1 ოქტომბრამდე სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ რამოდენიმე დაწესებულებაში არჩევით შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულების მდგომარეობა და შედეგების შესახებ მომახსენოს არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1051

საქართველოს სს კულტურისა და განათლების სამინისტროებისადმი

1955 წ. 6 ივნისი

კინოსეანსებზე, თეატრის სპექტაკლებსა და სხვა სახის სანახაობებზე 16 წლის ასაკამდე მოსწავლეთა დასწრების შესახებ.

კინოსეანსებზე, თეატრის სპექტაკლებსა და სხვა სახის სანახაობებზე 16 წლის ასაკამდე მოსწავლეთა დასწრების მოწესრიგების მიზნით, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ:

1. აიკრძალოს 16 წლის ასაკამდე მოსწავლეთა დასწრება მათი წლოვანებისათვის შეუფერებელ კინოსურათებზე, თეატრის სპექტაკლებზე, კონცერტებსა და სხვა სახის სანახაობებზე.

2. აეკრძალოს მათვე საღამოს 7 საათის შემდეგ, უფროსთა თანხლების გარეშე, კინოსეანსებსა და სხვა ყოველგვარი სახის სანახაობებზე დასწრება.

3. დაწესდეს, რომ 16 წლის ასაკამდე მოსწავლეებს შეუძლიათ ნახონ ის კინოსურათები და დაესწრონ იმ სპექტაკლებს, კონცერტებს და სხვა სახის სანახაობებს, რომლებიც მთავრდება არა უგვიანეს საღამოს 9 საათისა.

4. კინოთეატრების, თეატრებისა და სხვა სახის სანახაობათა დაწესებულებების დირექტორებმა ზუსტად გაატარონ 16 წლის ასაკამდე მოსწავლეთა კინოსეანსებზე, თეატრის სპექტაკლებზე, კონცერტებსა და სხვა სახის სანახაობებზე დასწრების ეს წესი.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ კულტურისა და განათლების მინისტრებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების კულტურისა და განათლების განყოფილების გამგეებმა, სკოლებისა და სანახაობათა დაწესებულებების დირექტორებმა უზრუნველყონ ამ ბრძანების განუხრელად გატარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი **ა. გუნია**

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
გ. ჯიბლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1062

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 7 ივნისი

კოჯრისა და ბეთანიის საბავშვო სახლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს მიერ კოჯრისა და ბეთანიის საბავშვო სახლების შემოწმებით დადასტურდა, რომ საბავშვო სახლების მუშაობას ჯერ კიდევ ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი.

ზოგ საბავშვო სახლში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. დაბალი მოსწრება აქვს კოჯრის № 3 საბავშვო სახლს (დირექტორი კ. დანელია), აღსაზრდელთა ერთი ნაწილი მათი ასაკისათვის შეუფერებელ კლასებში სწავლობს. თექვსმეტი წლის აღსაზრდელები ვ. მალიშევსკაია (№ 6 საბავშვო სახლი) და გ. დავითიანი (№ 7 საბავშვო სახლი) სწავლობენ III კლასში; ჩვიდმეტი წლის ტ. ლაქტიონოვა (№ 4 საბავშვო სახლი) V კლასში და სხვა.

არ ეთმობა ჯეროვანი ყურადღება შრომითს სწავლებას კოჯრის № 3 და № 7 საბავშვო სახლებში. ამ საბავშვო სახლების 79 აღსაზრდელი შრომითი სწავლების გარეშეა დარჩენილი. სახელოსნოები არაა უზრუნველყოფილი ხელსაწყო-იარაღებითა და მასალებით.

საბავშვო სახლის დირექტორები ქმედით ღონისძიებებს არ ღებულობენ ასაკგადაცილებულ აღსაზრდელთა სამუშაოზე მოწყობისათვის. შემოწმებული საბავშვო სახლების 670 აღსაზრდელიდან 186—ასაკგადაცილებულია.

განსაკუთრებით ცუდათაა ასაკგადაცილებულ აღსაზრდელთა მოწყობის საქმე კოჯრის № № 4, 5, 7 საბავშვო სახლებში (დირექტორები—გ. გრძელიძე, ვ. სიხარულიძე ნ. ურუშაძე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსაზრდელთა შორის სამედიცინო მომსახურება ცუდათაა დაყენებული. თბილისის გარეუბნის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება ნაკლებ ყურადღებას აქცევს აღსაზრდელთა ღრმა საექიმო შემოწმების ხარისხიანად ჩატარების საქმეს. ა/წლის ოქტომბერში 771 აღსაზრდელის ღრმა საექიმო შემოწმება მიმდინარეობდა მხოლოდ სამ დღეს—ქირურგის, ნერვოპათოლოგისა და რენტგენოლოგის გარეშე.

კოჯრის ბავშვთა საავადმყოფო სათანადო კონტროლსა და ხელმძღვანელობას არ ახორციელებს საბავშვო სახლების აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურებაზე. მ/წლის პირველ კვარტალში გ/წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით აღსაზრდელთა დაავადების რიცხვი 104-ით გაიზარდა, კოჯრის № № 1, 2, 4, 5, 6, 7, საბავშო სახლებში (ექიმი ი. კეკელიძე, ო. კიკნაძე, ლ. ქარუმიძე) ყურადღება არ ექცევა ახლადმიღებულ აღსაზრდელთა საექიმო გასინჯვას. კოჯრის №3 და ბეთანიის საბავშვო სახლებში სისუფთავე არაა დაცული, აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილი პირადი ჰიგიენის საგნებით, არ სრულდება ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1949 წლის 24 იანვრის ინსტრუქცია საბავშვო სახლების თანამშრომელთა საექიმო შემოწმების შესახებ. კოჯრისა და ბეთანიის საბავშვო სახლების 140 თანამშრომლიდან, გ/წლის პირველ კვარტალში, საექიმო შემოწმება მხოლოდ ცხრამ გაიარა.

საბავშო სახლები არაა უზრუნველყოფილი მედიკამენტებითა და სამედიცინო ინსტრუმენტებით, კოჯრის საბავშვო სახლების აბანო არარეგულარულად მუშაობს.

აღნიშნული საბავშო სახლების მატერიალური ბაზა მოუწესრიგებელია. კოჯრის № 3 და ბეთანიის საბავშვო სახლებში შენობის ფართობი არარაციონალურადაა გამოყენებული. საბავშვო სახლის დირექტორების კაბინეტებისათვის განკუთვნილია დიდი და ნათელი ოთახები მაშინ, როდესაც ბავშვთა საძინებელ ოთახებში მოუთმენელი სივიწროვეა და შრომითი ოთახებისათვის ბინა არა აქვთ.

საბავშვო სახლების მომმარაგებელი ორგანიზაციებიდან ვერ ღებულობენ ნორმით დაწესებულ პროდუქტებს. „საქკურორტვაჭრობა“ არ ასრულებს დადგენილებებს საბავშვო სახლების კვების პროდუქტებით შეუფერხებელი მომარაგების შესახებ.

მ/წლის პირველ კვარტალში „საქკურორტვაჭრობას“ სრულებით არ მიუწოდებია საბავშვო სახლებისათვის არაყანი, ხაჭო, თევზი, ბოსტნეული, ხმელი ხილი, კვერცხი და სხვა.

საბავშვო სახლებში დარღვეულია ჩამოწერილი და უვარგისი ინვენტარის შენახვის წესი. რბილი ინვენტარი დაუშტამპავია, ხმარებაში მყოფი და ჩამოწერილი ინვენტარი ერთადაა შენახული და სხვ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საბავშვო სახლის დირექტორებმა:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და სკოლასთან მჭიდრო კავშირით მიაღწიონ აღსაზრდელთა მაღალ აკადემიურ მოსწრებას;

ბ) განსაკუთრებით გაამახვილონ ყურადღება აღსაზრდელთა მიერ საშინაო დავალებების მომზადებაზე;

გ) უმოკლეს დროში გარდაქმნან ზოგადტექნიკური შრომითი სახელოსნოების მუშაობა პროგრამებსა და მეთოდურ მითითებათა საფუძველზე, არ დაუშვან აღსაზრდელთა შრომაში ჩაუბმელობის არც-ერთი შემთხვევა;

დ) უზრუნველყონ შენობის ფართობის სწორად და რაციონალურად გამოყენება;

ე) არ დაუშვან ჩამოწერილი რბილი ინვენტარის დაუშტამპავ და ექსპლოატაციაში მყოფ ინვენტართან მოთავსება;

2. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ:

ა) მიიღოს ზომები აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, სამედიცინო მომსახურების მოწესრიგებისა და კვების პროდუქტებით უზრუნველყოფისათვის;

ბ) მოაწყოს სამუშაოზე მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობასა და სარეწაო კოოპერაციაში საბავშვო სახლების 15—16 წლის და უფროსი ასაკის აღსაზრდელები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელნიც ვერ აკმაყოფილებენ საქარხნო საფაბრიკო სკოლებში მიღების პირობებს;

3. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (უფროსი ს. არველაძე) „საქკურორტვაჭრობის" მიერ საბავშვო სახლების კვების პროდუქტებით არადამაკმაყოფილებლად მომარაგების შესახებ საკითხი მოამზადოს ზემდგომ ორგანოებში წარსადგენად.

საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (უფროსი ამხ. ა. კვაჭაძე) უზრუნველყოს საბავშვო სახლებიდან გასულ აღსაზრდელებზე გაწერილი თანხების აღდგენა.

4. ეცნობოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოჯრისა და ბეთანიის საბავშვო სახლების სამედიცინო-მომსახურების არადამაკმაყოფილებლად დაყენების შესახებ.

5. სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის კოჯრის №3 საბავშვო სახლის დირექტორს კ. დანელიას გამოეცხადოს საყვედური.

6. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ბეთანიის საბავშვო სახლის დირექტორს მ. სიმონიშვილს არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის დადებული აქვს სათანადო სასჯელი.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 3 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1069

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წ. 9 ივნისი

1955 წლის ზაფხულის პერიოდში ბავშვთა გამაჯანსაღებელი მუშაობის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მ/წლის 20 მაისის № 296 დადგენილების —„1955 წლის ზაფხულის პერიოდში მუშებისა და მოსამსახურეების ბავშვების საზაფხულო დასვენების ორგანიზაციის შესახებ“ შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მიმდინარე წლის ზაფხულის პერიოდში განათლების სამინისტროს სისტემის გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში გატარებულ იქნას 50362 ბავშვი, მათ შორის:

1. აგარაკზე გაყვანილ იქნას მ/წლის 1 ივლისიდან 15 სექტემბრამდე სკოლამდელი ასაკის 6952 ბავშვი, ხოლო ადგილზე გაძლიერებული კვება მიეცეს 8365 ბავშვს. სულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩაბმულ იქნას სკოლამდელი ასაკის 15317 ბავშვი. (დანართი № 1).

2. გაყვანილ იქნას მ/წლის 25 ივნისიდან 25 აგვისტომდე საგარაკოდ საბავშვო სახლების 1210 აღსაზრდელი, ხოლო ადგილზე გაძლიერებული კვება მიეცეს საბავშვო სახლის 2195 აღსაზრდელს.

სულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩაბმულ იქნას საბავშვო სახლების 3405 აღსაზრდელი (დანართი № 2).

3. მოეწყოს ქალაქად დარჩენილ 6000 ბავშვისათვის საქალაქო პიონერთა ბანაკი (დანართი № 3).

4. ჩაბმულ იქნას საექსკურსიო-ტურისტულ ღონისძიებებში 25000 ბავშვი (დანართი № 4).

5. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ გადასცეს საქართველოს პროფესიული კავშირების საბჭოს სააგარაკო ადგილებში პიონერთა ბანაკისათვის სასკოლო შენობები (დანართი № 5).

6. პატარა ცემისა და ქობულეთის სატყეო-სკოლა სანატორიუმებში გატარდეს 640 ბავშვი.

7. განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ პროფესიული კავშირების საბჭოს მოთხოვნით დააკომპლექტოს პიონერთა ბანაკები ბავშვთა შორის მუშაობის გამოცდილების მქონე პედაგოგებით.

8. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ დაუბრკოლებლივ მოამარაგოს შეშით საზაფხულო გამაჯანსაღებელი დაწესებულებები.

9. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ შეუფერხებლად დააფინანსოს საჭირო სახსრებით გამაჯანსაღებელი დაწესებულებები.

10. უმაღლესი სკოლებისა და პედაგოგიური სასწავლებლების სამმართველომ უზრუნველჰყოს სტუდენტ-პრაქტიკანტთა გაგზავნა რესპუბლიკურ და საქალაქო პიონერთა ბანაკებში.

11. ვავალებ აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს, ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან შეთანხმებით:

ა) პიონერთა ბანაკებში და სატყეო სკოლა-სანატორიუმებში გაგზავნონ პირველყოვლისა სამამულო ომში დაღუპულთა, სამამულო ომის ინვალიდთა, მარტოხელა, მრავალშვილიანი დედებისა და ინვალიდთა ბავშვები, რომლებსაც აქვთ სამკურნალო დაწესებულებების სათანადო დასკვნა;

ბ) პიონერთა ბანაკებისათვის შეარჩიონ ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, ქიმიის მასწავლებლები აგრეთვე სპეციალისტები, რომელთაც შეუძლიათ უხელმძღვანელონ მხატვრული და ტექნიკური წრეების მუშაობას პიონერთა ბანაკში;

გ) პიონერთა რესპუბლიკურ და ქალაქის ბანაკებში გაგზავნონ მორიგეობით ის მასწავლებლები, რომელთაც ზაფხულის პერიოდში შვებულება არ ეკუთვნით ან შვებულების დამთავრების გამო დაუბრუნდებიან სკოლას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) რესპუბლიკურ და საქალაქო პიონერთა ბანაკების მუშაობაში ჩააბან სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებები (პიონერთა სახლები, საბავშვო პარკები, ბავშვთა საექსკურსიო ტურისტული ბაზები, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები), საჭირო შემთხვევაში გადაიტანონ ბანაკებში სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულების წრეების მუშაობა და უზრუნველყონ მოსწავლეთა შორის თვითშემოქმედების გაშლა;

ე) პერიოდულად შეამოწმონ გამაჯანსაღებელი დაწესებულებების (პიონერთა ბანაკები, საქალაქო პიონერთა ბანაკები, საბავშვო პარკები, ბავშვთა საექსკურსიო ტურისტული ბაზები) მუშაობა და უზრუნველყონ ბავშვთა დასვენებისა და გართობის სწორი ორგანიზაცია.

12. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ:

ა) შესაფერისი კადრებით დააკომპლექტოს სასახლის ტურისტული ბანაკები;

ბ) სასახლის მუშაობის მეტი ნაწილი გადაიტანოს საქალაქო პიონერთა ბანაკებში და უზრუნველყოს ქალაქად დარჩენილ ბავშვთა ორგანიზებული მომსახურება.

13. ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტულმა სადგურმა უზრუნველყოს საექსკურსიო-ტურისტული ბაზები საჭირო მეთოდური მითითებებით, მარშრუტებითა და ყოველდღიური ხელმძღვანელობით.

14. ნორჩ ნატურალისტთა და ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურებმა 10 ივნისამდე მისცენ მითითება პიონერთა სახლებსა და ბანაკებს ზაფხულის პერიოდში ნორჩ ნატურალისტთა და ნორჩ ტექნიკოსთა წრეების მუშაობის შესახებ.

15. ქობულეთისა და პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმების დირექტორებმა 15 ივნისამდე მოამზადონ სატყეო სკოლა-სანატორიუმები საგაზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობისათვის და შექმნან საჭირო პირობები ბავშვთა დასვენებისა და გართობის სწორი ორგანიზაციისათვის.

16. ვავალებ სკოლების სამმართველოს უფროსს ამხ. გ. საყვარელიძეს, საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილების უფროსს ამხ. ჩინჩალაძეს პირადად უხელმძღვანელონ ბავშვთა საზაფხულო გამაჯანსაღებელ დაწესებულებებს და პერიოდულად შეამოწმონ ცალკეული ობიექტები.

17. ვავალებ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს შეუქმნან ყოველგვარი პირობა თავიანთ სამოქმედო რაიონში მოწყობილ როგორც საქალაქო, ისე რესპუბლიკურ პიონერთა ბანაკებს.

18. ვავალებ ჩემს მოადგილეს ამხ. მ. ბურჭულაძეს თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საქალაქო პიონერთა ბანაკების კონტინგენტის განაწილება 1955 წლის ზაფხულის პერიოდში

1.	აფხაზეთის ასსრ	600
2.	აჭარის ასსრ	500
3.	სამხრეთ ოსეთის ა. ო.	400
4.	ქ. თბილისის	1700
5.	ქ. ქუთაისი	500
6.	ქ. ფოთი	200
7.	ქ. ჭიათურა	200
8.	ქ. რუსთავი	200
9.	ქ. გორი	100
10.	ახალციხის	100
11.	გურჯაანის	100
12.	ბორჯომის	100
13.	ზესტაფონის	100
14.	ზუგდიდის	150
15.	კასპის	100
16.	ლანჩხუთის	100
17.	მახარაძის	150
18.	სამტრედიის	100
19.	სიღნაღის	100
20.	თელავის	100
21.	ტყიბულის	100
22.	ხაშურის	100
23.	წულუკიძის	100
24.	ცხაკაიას რ-ნი	100
	სულ	6000

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ო ნ ტ ი ნ გ ე ნ ტ ი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო ბაღებისა, რომლებთანაც 1955 წ. უნდა ჩატარდეს საზაფხულო გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი.

№№ რიგ.	ქ ა ლ ა ქ ი, რ ა ი ო ნ ი	კურორტის დასახელება	გასაყვან ბავშვთა რიცხვი	მათ რიცხვში სანატორ. ტიპის	ადგილზე დარჩენილ ბავშვთა კონტინგ., რომლებთანაც ჩატარებული იქნება გამაჯან. ღონისძიებანი	ს ულ
1	ქ. თბილისი	მანგლისი	700			
		წყნეთი	100			
		სურამი	100			
		ქვიშხეთი	300			
		ბორჯომი (ფაფა)	400			
		წაღვერი	600	200		
		ც ე მ ი	100			
		ბაკურიანი	100			
		გუდაუთი	200			
		ლესელიძე	400			
	ს უ ლ ქ. თბილისი		3000	200	3180	6180
2	ქ. ქუთაისი	წაღვერი	150			
		ც ე მ ი	100			
		ბაკურიანი	250	50		
		ქობულეთი	50	50		
	ს უ ლ ქ. ქუთაისი		550	100	400	950
3	ქ. ფოთი	სურამი	100	50	260	360
4	ქ. ჭიათურა	ქობულეთი	50	—	50	100
5	ქ. გ ო რ ი	ც ე მ ი	100	50	50	150
6	აბაშის რაიონი	ქობულეთი	65	—	—	65
7	ადიგენის „		—	—	37	37
8	ამბროლაურის „	უწერა (ონის რ.)	41	—	—	41
9	ასპინძის „	ს. ოთა (ასპ. რ.)	25	—	—	25
10	ახალქალაქის „	ჩობარეთი (ახალქ.)	50	—	—	50
11	ახალციხის „				364	364
12	ახმეტის „	თეთრიწყლები	50	—	—	50
13	ბოგდანოვკის „	„	—	—	22	22

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგ.	ქალაქი, რაიონი	კურორტის დასახელება	გასაყვან ბავშვთა რიცხვი	მათ რიცხვში სანატორ. ტიპის	ადგილზე დარჩენილ ბავშვთა კონტინგ., რომლებთანაც გატარებულ იქნება გამაჯანს. ღონისძიებანი	სულ
14	ბოლნისის რაიონი	თეთრი წყარო	100	—	—	100
15	ბორჯომის „				200	200
16	ვანის „				30	30
17	გარდაბნის „	მანგლისი	50	—	—	50
18	გეგეჭკორის „				165	165
19	გურჯაანის „				64	64
20	დმანისის „				40	40
21	დუშეთის „	ფასანაური	46	—	—	46
22	ზესტაფონის „	ქვიშხეთი	50	—	—	50
		წაღვერი	75	—	25	100
	სულ ზესტაფონის	—	125	—	25	150
23	ზუგდიდის რაიონი	სურამი	203	47	—	203
		ს. მუხური (ჩხოროწყუს რ.)	172	—	—	172
	სულ ზუგდიდის		375	47	—	375
24	ყაზბეგის რაიონი				20	20
25	ქარელის „				75	75
26	კასპის „				232	232
27	კაჭრეთის „	ს. არაშენდა (კაჭრეთის რ.)	15	—	—	15
28	ყვარლის „	ს. ფიქალები (ყვარლის რაიონი)	90	—	—	90
29	ქუთაისის „				25	25
30	ლაგოდეხის „	ლაგოდეხი (სახელმწიფო ნაკრძალი)	50	—	—	50
31	ლანჩხუთის „	ქობულეთი	50	—	20	70
32	ლენტეხის „	ქობულეთი	30	—	16	46
33	მარნეულის „				50	55
34	მახარაძის „	ბახმარო	130	50	—	130
35	მაიაკოვსკის „		—	—	95	95
36	მესტიის „				28	28
37	მცხეთის „				50	50
38	ონის „	შოვი	80	—	—	80
39	ორჯონიკიძის „	ს. ზვარე (ორჯონ. რაიონი)	30	—	—	30
40	საგარეჯოს „	გომბორი	50	—	25	75
41	სამტრედიის „	სურამი	50	—	100	150

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგ.	ქალაქი რაიონი	კურორტის დასახელება	გასაყვან ბავშვთა რიცხვი	მათ რიცხვში სანატორ. ტიპის	ადგილზე დარჩენილ ბავშვთა კონტინგ. რომლებთანაც გატარებული იქნება გამაჯანს. ღონისძიებანი	ს ე ნ ე
42	საჩხერის რაიონი	ს. პერევისი (ჭიათურის რაიონი)	60	—	—	60
43	სიღნაღის „	ს. ზემო ბოდბე (სიღნ. რაიონი)	70	—	205	275
44	თელავის „	—	—	—	250	250
45	თერჯოლის „	—	—	—	24	24
46	თეთრიწყაროს „				80	80
47	თიანეთის „				65	65
48	ტყიბულის „	ს. კურსები (ტყ. რ.)	75	—		75
49	ხობის „	სურამი	60	—	17	77
50	ცაგერის „				65	65
51	წალენჯიხის „	ს. მუხური (ჩხოროწყუს რაიონი)	50	—	—	50
52	წალკის „				50	50
53	წითელწყაროს „				25	25
54	წულუკიძის „	ახალდაბა	70	—	30	100
55	ცხაკაიას „	ს. ხორში(ცხკ. რ.)	200	—	61	261
56	წყალტუბოს „	ქობულეთი	90	—	—	90
57	ჩოხატაურის „		—	—	65	65
58	ჩხოროწყუს „	ს. მუხური (ჩხოროწყუს რაიონი)	20	—	—	20
59	ხაშურის „				110	110
	ს უ ლ		5997	497	6670	12667
	აფხაზეთის ასსრ	აფხაზეთის ასსრ გან. სამინისტროს მითითებით	375	100	1025	1400
	აჭარის ასსრ	სურამი	75			75
		ქობულეთი	75			75
		მახინჯაური	80	60		80
	ს უ ლ აჭარაში		230	80	600	830
	ს. ოსეთის ა. ოლქი	ქობულეთი	350	50	70	420
	სულ საქართველოს სსრ რესპუბლიკაში		6952	732	8365	15317

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონტინგენტი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო სახლებისა, რომლებთანაც უნდა ჩატარდეს საზაფხულო გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი 1955 წ.

№№ რიგ.	საბავშვო სახლების და სპეცსკოლების დასახელება	კურორტის დასახელება	კურორტზე გასაყვან ბავშვთა რაოდენობა	ადგილზე დარჩენილ ბავშვთა რაოდენობა, რომლებთანაც ჩატარდება გამაჯანსაღებ. ღონისძიება.
	თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა—ინტერნატი .	შუამთა (თელავის რაიონი)	60	—
2	თბილისის ყრუმუნჯთა სკოლა ინტერნატი . . .	მანგლისი	60	—
3	თბილისის № 1 დამხმარე	კიმოთესუბანი		
4	სკოლა—ინტერნატი . . .	(ბორჯომის რაიო.)	120	—
	ვაკის საბავშო სახლი . . .	მანგლისი	80	—
5	გეგეჭკორის „	ლებარდე (გეგეჭკორის რაიონი)	65	—
6	ეწერის „	ს უ რ ა მ ი	75	—
7	ზუგდიდის „	ბორჯომი	75	—
8	მახარაძის „	ბახმარო	150	—
9	ო ნ ი ს „	შ ო ვ ი	60	—
10	რუსთავი „	ყვიბისი (ბორჯომი რაიონი)	100	—
11	საჩხერის „	ლიჩი (საჩხერის რ.)	75	—
12	ქუთაისის „	ს უ რ ა მ ი	65	—
13	ჩოხატაურის „	ბახმარო	60	
14	შუამთის „			
15	ახალქალაქის „			75
16	ახალციხის „			70
17	ბეთანიის -			65
18	ბორჯომის „			140
19	ვაშლოვანის „			65
20	ზედარგანის „			100
21	თელავის „			75
22	კოჯრის №№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9.			65
				815

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგ.	საბავშვო სახლების და სპეცსკოლების დასახელება	კურორტის დასახელება	კურორტზე გასაყვან ბავშვთა რაოდენობა	ადგილზე დარჩენილ ბავშვთა რაოდენობა რომელთანაც ჩატარდება გამაჯანსაღებ. ღონის ძიება.
23	კარდანახის საბ. სახლი			75
24	ნორიოს „ „			100
25	სილნაღის საბავშვო სახლი			65
26	სურამის საბავშვო სახლი			135
	აფხაზეთის ასსრ			
27	განთიადის საბ. სახლი			150
	აჭარის ასსრ			
28	ბათუმის საბ. სახლი	ბეშუმი	100	—
29	მახინჯაური			70
	სულ აჭარაში		100	70
	ს. ოსეთის ა. ოლქი			
30	ლენინგორის საბავშვო სახლი	ს. ნაგომევი (ლენინგ. რაიონი)	65	
31	თამარაშენის „		—	65
32	ქურთას „			65
	სულ სამხრეთ ოსეთის ა/ოლქში		65	130
	სულ საქ. სსრ-ში		1210	2195
				3405

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტინგენტი

მოსწავლეებისა, რომლებიც 1955 წლის ზაფხულის პერიოდში იაბმული იქნებიან საექსკურსიო-ტურისტული ბაზების გამანჯანსაღებელ ღონისძიებებში და სამშობლო მხარის შესწავლის მიზნით მონაწილეობას მიიღებენ ექსკურსიებსა და ლაშქრობაში.

ორგანიზაციის დასახელება	გასვლის დრო	რაოდენობა		შეკრების ადგილი
		ბავშვების	დღეების	
სულ რესპუბლიკაში				
მათ შორის:				
ჩატარებული ღონისძიებანი სახალხო განათლების ორგანოებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დანარჩენ ორგანიზაციების ხარჯზე		4472		
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტი . . .	1/VII	240	40	თბილისი
სამხედრო-საჰაერო ძალთა ქ. თბილისის სპეციალური საშუალო სკოლა	25/VI	332	45	მანგლისი
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგური	20/VII	800	10	თბილისი
თბილისის პიონერთა სასახლე .	20/VI	120	10	თბილისი
გორის ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზა	„	400	10	გორი
ქუთაისის ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზა	„	400	10	ქუთაისი
ჭიათურის ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზა	„	400	10	ჭიათურა
ფოთის ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზა	„	400	10	ფოთი
ზუგდიდის ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზა	„	400	10	ზუგდიდი
თელავის ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზა	„	400	10	თელავი
ბორჯომის ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზა	„	400	10	ბორჯომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციის დასახელება	გასავლის დრო	რაოდენობა		შეკრების ადგილი
		ბავშვების	დღეების	
მცხეთის ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზა	20/VI	400	10	მცხეთა
საექსკურსიო-ტურისტული ღონისძიებანი ჩატარებული ცალკეული სკოლებისა და რაიონების განათლების განყოფილების მიერ კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარებით . .		20,528	10	
აფხაზეთის ასსრ				
ს უ ლ		3000		
მ ა თ შ ო რ ი ს				
აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს ქ. სუხუმის ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზა .	20/VI	800	10	სოხუმი
აჭარის ასსრ				
ს უ ლ				
მ ა თ შ ო რ ი ს:				
აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს ქ. ბათუმის ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზა . .	20/VI	400	10	ბათუმი
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი				
ს უ ლ		1500		
მ ა თ შ ო რ ი ს				
სტალინირის ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზა . . .	20/VI	400	10	სტალინირი
ქ. თბილისი	„	1300	10	თბილისი
ქ. ქუთაისი	„	800	10	ქუთაისი
ქ. ფოთი	„	300	10	ფოთი
ქ. ჭიათურა	„	300	10	ჭიათურა
ქ. რუსთავი	„	450	10	რუსთავი
ქ. გორი	„	350	10	გორი
აბაშის რაიონი	„	160	10	აბაშა
ადიგენის რაიონი	„	160	10	ადიგენი
ამბროლაურის რაიონი	„	160	10	ამბროლაური
ასპინძის რაიონი	„	160	10	ასპინძა
ახალქალაქის რაიონი	„	200	10	ახალქალაქი
ახალციხის რაიონი	„	200	10	ახალციხე
ახმეტის რაიონი	„	160	10	ახმეტა
ბოგდანოვკის რაიონი	„	100	10	ბოგდანოვკა
ბოლნისის რაიონი	„	150	10	ბოლნისი
ბორჯომის რაიონი	„	288	10	ბორჯომი

ორგანიზაციის დასახელება	გადასვლის დრო	რაოდენობა		შეკრების ადგილი
		ბავშვ-ების	დიედების	
ვანის რაიონი	20/VI	180	10	ვ ა ნ ი
გარდაბნის რაიონი	„	100	„	გარდაბანი
გეგეჭკორის რაიონი	„	180	„	გეგეჭკორი
გორის რაიონი	„	200	„	გ ო რ ი
გურჯაანის რაიონი	„	200	„	გურჯაანი
დმანისის რაიონი	„	200	„	დმანისი
დუშეთის რაიონი	„	200	„	დუშეთი
ზესტაფონის	„	300	„	ზესტაფონი
ზუგდიდის რაიონი	„	250	„	ზუგდიდი
ყაზბეგის რაიონი	„	200	„	ყაზბეგი
ქარელის რაიონი	„	150	„	ქარელი
კასპის რაიონი	„	150	„	კასპი
კაჭრეთის რაიონი	„	150	„	კაჭრეთი
ყვარლის რაიონი	„	150	„	ყვარელი
ქუთაისის რაიონი	„	250	„	ქუთაისი
ლაგოდეხის რაიონი	„	200	„	ლაგოდეხი
ლანჩხუთის რაიონი	„	250	„	ლანჩხუთი
ლენტეხის რაიონი	„	140	„	ლენტეხი
მარნეულის რაიონი	„	150	„	მარნეული
მახარაძის რაიონი	„	250	„	მახარაძე
მაიაკოვსკის რაიონი	„	100	„	მაიაკოვსკი
მესტიის რაიონი	„	100	„	მესტია
მცხეთის რაიონი	„	200	„	მცხეთა
ონის რაიონი	„	200	„	ო ნ ი
ორჯონიკიძის რაიონი	„	100	„	ორჯონიკიძე
საგარეჯოს რაიონი	„	100	„	საგარეჯო
სამტრედიის რაიონი	„	100	„	სამტრედია
საჩხერის რაიონი	„	100	„	საჩხერე
სიღნაღის რაიონი	„	200	„	სიღნაღი
თელავის რაიონი	„	300	„	თელავი
თერჯოლის რაიონი	„	100	„	თერჯოლა
თეთრიწყაროს რაიონი	„	200	„	თ/წყარო
თიანეთის რაიონი	„	160	„	თიანეთი
ტყიბულის რაიონი	„	160	„	ტყიბული
ხაშურის რაიონი	„	200	„	ხაშური
ხობის რაიონი	„	100	„	ხობი
ცაგერის რაიონი	„	100	„	ცაგერი
წალენჯიხის რაიონი	„	100	„	წალენჯიხა
წალკის რაიონი	„	100	„	წალკა
წითელწყაროს რაიონი	„	100	„	წ/წყარო
წულუკიძის რაიონი	„	200	„	წულუკიძე
ცხაკაიას რაიონი	„	200	„	ცხაკაია
წყალტუბოს რაიონი	„	100	„	წყალტუბო
ჭიათურის რაიონი	„	100	„	ჭიათურა
ჩოხატაურის რაიონი	„	100	„	ჩოხატაური
ჩხოროწყუს რაიონი	„	100	„	ჩხოროწყუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ი ა

იმ სკოლების შენობებისა, რომლებიც 1955 წლის ზაფხულის პერიოდში განათლების ორგანოების მიერ გადაეცემა პროფკავშირთა საბჭოს პიონერთა ბანაკებისათვის

აფხაზეთის ასსრ

1. ოჩამჩირის ქართული საშუალო სკოლა,
2. ახალი ათონის საშუალო სკოლა,
3. გაგრის რაიონის ლესელიძის რუსული საშუალო სკოლა,
4. წებელდის სომხური საშუალო სკოლა,
5. გუდაუთის რაიონის ახალსოფლის რვაწლიანი სკოლა.

აჭარის ასსრ

1. დიმიტროვის სახელობის ქობულეთის საშუალო სკოლა,
2. ბათუმის რაიონის მახინჯაურის საშუალო სკოლა,
3. ქობულეთის რვაწლიანი სკოლა,
4. ქობულეთის რაიონის ფიჭვნარის სკოლა.

1. თელავის რაიონის ნადიკვარის საშუალო სკოლა,
2. კასპის რაიონის ნოსტეს დაწყებითი სკოლა,
3. ხაშურის რაიონის ტაშისკარის რვაწლიანი სკოლა,
4. თეთრიწყაროს რუსული საშუალო სკოლა,
5. ხაშურის რაიონის სურამის I საშუალო სკოლა,
6. ხაშურის რაიონის იტრიის რვაწლიანი სკოლა,
7. ბორჯომის რაიონის წაღვერის საშუალო სკოლა,
8. ტყიბულის რაიონის საწირის საშუალო სკოლა,
9. დუშეთის რაიონის ფასანაურის საშუალო სკოლა,
10. ბორჯომის რაიონის ბაკურიანის საშუალო სკოლა,
11. ბორჯომის რაიონის ყვიბისის საშუალო სკოლა,
12. ორჯონიკიძის რაიონის ზვარეს საშუალო სკოლა.

———— ————

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დებულება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის შესახებ

1. მუზეუმის მიზნები და ამოცანები

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმი წარმოადგენს მეცნიერულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც თავს უყრის, მეცნიერულად ამუშავებს და იცავს საქართველოს სსრ სასწავლო-საალმზრდელო დაწესებულებების და პედაგოგიური მეცნიერების ისტორიისა და თანამედროვე მდგომარეობის, კომუნისტური აღზრდის მიზნებისა და ამოცანების, ზოგად-საგანმანათლებლო სკოლის, სკოლამდელი და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებების მუშაობის შინაარსის, ორგანიზაციისა და მეთოდების (სასწავლო გეგმები, პროგრამები, სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოების მასალა, ბავშვთა ნამუშევრები და სხვ.) ამსახველ მასალებს. ეს მასალა შეადგენს მუზეუმის ფონდს, რომლის საფუძველზე ეწყობა მუდმივი და დროებითი ექსპოზიციები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: შესაძენი ნივთებისა და მასალების შესაფასებლად მუზეუმთან იქმნება შემფასებელი კომისია მუზეუმის დირექტორის თავმჯდომარეობით.

2. მუზეუმი თავის მუშაობის შედეგებს აქვეყნებს ბროშურებისა და მონოგრაფიების (სახალხო განათლების თვალსაჩინო მუშაკთა ცხოვრებასა და პედაგოგიურ მოღვაწეობაზე და სხვ.) სახით, რომლებიც გამოიცემა პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის სათანადო დასკვნის შემდეგ.

3. მუზეუმის მუშაობაზე საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

4. მუზეუმის სათავეში დგას დირექტორი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და რომელიც ხელმძღვანელობს მუზეუმს ერთმმართველის უფლებებით.

11. მუზეუმის დირექტორის უფლება-მოვალეობანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1.მუზეუმის დირექტორი ვალდებულია:

ა) ორგანიზაცია უყოს მუზეუმის მუშაობას;

ბ) მუზეუმის შტატი დააკომპლექტოს სათანადო სპეციალისტებით,

გ) უხელმძღვანელოს მუზეუმის სამუშაოთა გეგმის შედგენას;

დ) განახორციელოს კონტროლი მუზეუმის სამეცნიერო მუშაობის მიმდინარეობაზე და უშუალოდ უხელმძღვანელოს მეცნიერული საკითხების დამუშავებას;

ე) მუზეუმის სამუშაო გეგმის წარმატებით შესრულების მიზნით დაამყაროს კავშირი პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტთან და სხვა კვლევითი-სამეცნიერო და სახელმწიფო დაწესებულებებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;

ვ) უხელმძღვანელოს სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას;

ზ) უხელმძღვანელოს მუზეუმის სამეცნიერო შრომების გამოსაცემად გამზადების საქმეს;

თ) მოისმინოს მუზეუმის მუშაკების ანგარიშები;

ი) ყოველი წლის ბოლოს წარუდგინოს განათლების სამინისტროს ანგარიში მუზეუმის საქმიანობის შესახებ;

კ) უზრუნველჰყოს საფინანსო დისციპლინის დაცვა დადაწესებულ ვადებში ანგარიშების წარდგენა მუზეუმის საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის შესახებ;

ლ) შეიმუშაოს მუზეუმის შინაგანაწესი.

2. მუზეუმის დირექტორს უფლება აქვს:

ა) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარუდგინოს დასამტკიცებლად კანდიდატები მუზეუმის მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე, აღნიშნული თანამდებობის პირთა დათხოვნა აწარმოოს აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დასტურით;

ბ) თავისი პირადი განკარგულებით მიიღოს, გადაიყვანოს და დაითხოვოს მუზეუმის მუშაკები მუზეუმისათვის დადგენილი საშტატო განრიგის ფარგლებში, გარდა „ა“ პუნქტში მოხსენებული პირებისა (მუშაკებისა);

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. ბრძანება № 1032—1955—1956 სასწავლო წლისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მზადების შესახებ 3
2. ბრძანება № 1034—ლაგოდეხის რაიონის განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 11
3. ბრძანება № 1041—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ზოგიერთ დაწესებულებაში საარქივო ფონდის მოვლა-შენახვის მდგომარეობის შესახებ 20
4. ბრძანება № 1051—კინოსეანსებზე, თეატრის სპექტაკლებსა და სხვა სახის სანახაობებზე 16 წლის ასაკამდე მოსწავლეთა დასწრების შესახებ 22
5. ბრძანება № 1062—კოჯრისა და ბეთანიის საბავშვო სახლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 24
6. № 1069—1955 წლის ზაფხულის პერიოდში ბავშვთა გამაჯანსაღებელი მუშაობის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ 28
7. დანართი № 1, 2, 3, 4, 5. 32
8. დებულება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის შესახებ 24

მარქსის სახ. სახ. ... სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ბურჭულაძე
ტექრედაქტორი პ. გუნიავა

გადაეცა წარმოებას 15/VI-55 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/VIII-55 წ.
ანაწყობის ზომა 5,5×9.5, ქაღალდის ზომა 60×84. სასტამბო ფორმათა
რაოდენობა 3.

უე 06052. ტირაჟი 5000. შეკვ. № 1071.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობისა და
პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2.
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2 Главного управления издательств и полиграфической промышленности Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.